



ბანათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა უმაღლესი
საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

საბუღალტრო აღრიცხვა და აუდიტი¹, მაგისტრატურა

შპს „ქუთაისის უნივერსიტეტი“

შეფასების თარიღ(ებ)ი
დასკვნის წარდგენის თარიღი

თბილისი

¹ პროგრამის ძველი სახელწოდება - საბუღალტრო აღრიცხვა

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ²

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მიითითებთ	შპს ქუთაისის უნივერსიტეტი
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	212677094
დაწესებულების სახე	უნივერსიტეტი

ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	საბუღალტრო აღრიცხვა და აუდიტი
უმაღლესი განათლების საფეხური	მაგისტრატურა
მისანიჭებელი კვალიფიკაცია ³	ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრი საბუღალტრო აღრიცხვაში
დეტალური სფეროს დასახელება და კოდი	0411 საბუღალტრო აღრიცხვა და დაბეგვრა
ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მიითითება (მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ან მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში)	
სწავლების ენა	ქართული
ECTS კრედიტების რაოდენობა	120 კრედიტი
პროგრამის სტატუსი (ავტორიზებული/აკრედიტებული/პირობით აკრედიტებული/ახალი/საერთაშორისო აკრედიტაცია) შესაბამისი გადაწყვეტილების მიითითებთ (ნომერი, თარიღი)	პირობითი აკრედიტაცია საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2020 წლის 11 აგვისტოს გადაწყვეტილება MES 4 20 0000679096

² ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში: მიეთითება ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი დაწესებულებები; „დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდის“ და „დაწესებულების სახის“ მიითითება არ არის სავალდებულო უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებ(ებ)ისათვის

³ უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებასთან ერთად ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შემთხვევაში თუ განსხვავდება მისანიჭებელი კვალიფიკაციის ფორმულირება, მიეთითება ცალ-ცალკე დაწესებულებების მიხედვით

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ვასილ კიკუტაძე, სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	მერაბ ხოხობაია, სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემადგამებელი დასკვნა

▪ ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

შპს „ქუთაისის უნივერსიტეტი“ 2021 წლის 12 აპრილის წერილის (№ 00000620) საფუძველზე არაგემიური მონიტორინგის ფარგლებში შესამოწმებლად წარმოდგენილია სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა - „საბუღალტრო აღრიცხვა და აუდიტი“ როგორც წარმოდგენილი წერილიდან ჩანს, პროგრამაში განხორციელებულია გარკვეული ცვლილებები, რომელთა საფუძველს წარმოადგენს პროგრამის განვითარება და ამ მიზნით საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს მიერ პროგრამის პირობითი აკრედიტაციის შესახებ 2020 წლის 11 აგვისტოს მიღებული გადაწყვეტილების (MES 4 20 0000679096) ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების გათვალისწინება. გარდა ამისა, დაკორექტირებულია წარმოდგენილი პროგრამის სახელწოდებაც, კერძოდ პროგრამის სახელწოდება იყო „საბუღალტრო აღრიცხვა“, რომელიც წარმოდგენილია ახალი სახელწოდებით - „საბუღალტრო აღრიცხვა და აუდიტი“.

აღსანიშნავია, რომ წარმოდგენილი „საბუღალტრო აღრიცხვა და აუდიტი“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა ფუნქციონირებს 2012 წლიდან. პროგრამამ პირველი აკრედიტაცია მიიღო 2012 წლის 3 ივლისს (საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილება #135). 2018 წლიდან კი პროგრამამ ფუნქციონირება განაგრძო ავტორიზებულ რეჟიმში (ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილება #71, 24/09/2018). 2020 წლის 11 აგვისტოს პროგრამას „საბუღალტრო აღრიცხვა“ მიენიჭა პირობითი აკრედიტაცია 2 წლის ვადით (საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილება MES 4 20 0000679096). პროგრამით მისანიჭებელი კვალიფიკაცია - ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრი საბუღალტრო აღრიცხვაში (კოდი: 0411 საბუღალტრო აღრიცხვა და დაბეგვრა) არ შეცვლილა.

„საბუღალტრო აღრიცხვა და აუდიტის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია მოამზადოს ბუღალტრულ აღრიცხვისა და აუდიტის სფეროს თეორიული ცოდნისა და პრაქტიკული უნარ-ჩვევების მქონე კონკურენტუნარიანი სპეციალისტები. შესაბამისად, პროგრამას გაწერილი აქვს ადექვატური მიღების წინაპირობები, კერძოდ პროგრამაზე მიღება ხდება ერთიანი ეროვნული სამაგისტრო გამოცდების; შიდა საუნივერსიტეტო გამოცდების: სპეციალობაში და უცხო ენაში. პროგრამაზე მოითხოვება ინგლისური ენის ცოდნა მინიმუმ B2 დონეზე.

პროგრამის ხანგრძლივობა შეადგენს სტანდარტულად 4 სემესტრს და მოიცავს 120 კრედიტს, რომელიც ნაწილდება შემდეგნაირად:

სასწავლო კომპონენტი (85 კრედიტი):

- სავალდებულო სასწავლო კურსები - 75 კრედიტი;
- არჩევითი/თავისუფალი სასწავლო კურსები - 10 კრედიტი;

პრაქტიკის კომპონენტი (10 კრედიტი):

- სასწავლო პრაქტიკა - 10 კრედიტი

კვლევითი კომპონენტი (25 კრედიტი):

- სამაგისტრო ნაშრომი – 25 კრედიტი.

პროგრამის ფარგლებში გამოყენებული სწავლება-სწავლის მეთოდები და აქტივობები უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მიღწევას, კერძოდ პროგრამის ფარგლებში გამოყენებულია: ლექცია, სამუშაო ჯგუფში მუშაობა, პრაქტიკული მუშაობა, ელექტრონული რესურსით სწავლება, დისკუსია/დებატები, რეფერატი, პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება(PBL), შემთხვევის ანალიზი (Case study) და ა.შ.

პროგრამის სწავლის შედეგის მიღწევის დონე ფასდება შეფასების ფორმებით - შუალედური შეფასებით და დასკვნითი შეფასებით, რომელთა ჯამი წარმოადგენს საბოლოო შეფასებას. შეფასების ფორმები, მეთოდები, კომპონენტები, კრიტერიუმები გაწერია ცალკეულის სასწავლო კურსების სილაბუსებში და გათვალისწინებულია კურსის სპეციფიკა.

სამაგისტრო ნაშრომის შეფასება ხდება ერთჯერადად კომისური წესით. სამაგისტრო ნაშრომი მოწმდება პლაგიატის ელექტრონული პროგრამით „StrikePlagiarism.com”.

პროგრამაში განსაზღვრულია ასევე პროგრამის კურსდამთავრებულების დასაქმების სავარაუდო სფეროები, კერძოდ საშუალო და მაღალი (სათანადო პრაქტიკული

გამოცდილების მიღების შემდეგ) დონის მმართველობით რგოლები, როგორც საჯარო, ისე კერძო სექტორებში, ბიზნეს ორგანიზაციები, არასამთავრობო სექტორი, სხვადასხვა ფინანსურ ინსტიტუტები, უმაღლეს სასწავლო დაწესებულებები და ა.შ.

პროგრამის განხორციელებას ემსახურება 15 აკადემიური პერსონალი, მათ შორის არის: 3 აფილირებული პროფესორი, 4 აფილირებული ასოცირებული პროფესორი, 1 აფილირებული ასისტენტ პროფესორი, 1 აფილირებული ასისტენტი, 2 ასოცირებული პროფესორი და 4 მოწვეული ლექტორი.

▪ აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა

აკრედიტაციის პროცესი განხორციელდა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შექმნისა და შპს ქუთაისის უნივერსიტეტის „ტურიზმის მენეჯმენტის“ საბაკალავრო და "საბუღალტრო აღრიცხვის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამებზე არაგეგმიური მონიტორინგის განხორციელების შესახებ 2021 წლის 17 ივნისის ბრძანების (MES 8 21 0000588388) შესაბამისად, კერძოდ შემოწმდა დაწესებულების მიერ წარმოდგენილი "საბუღალტრო აღრიცხვა და აუდიტის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობა, დაწესებულების მხრიდან გადმოგზავნილი დოკუმენტაციის, აკრედიტაციის ექსპერტთა დასკვნისა და აკრედიტაციის საბჭოს მიერ პრეგარმასთან დაკავშირებით მიღებული გადაწყვეტილების საფუძველზე (გადაწყვეტილება MES 4 20 0000679096, 11/08/2020). აკრედიტაციის პროცესში დამატებით იქნა გამოთხოვილი გარკვეული ინფორმაცია დაწესებულებიდან, რომელიც საჭირო გახდა შემოწმების პროცესის სრულყოფილად წარმართისა და შესაბამისად ობიექტური შედეგის დადგომისთვის.

• საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა

არაგეგმიური მონიტორინგის მიზნებიდან გამომდინარე "საბუღალტრო აღრიცხვა და აუდიტის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის დადგენისას შემოწმებული იქნა აკრედიტაციის 1,2 სტანდარტები სრულად, მე-3 სტანდარტის 3.2 ქვესტანდარტი და მე-4 სტანდარტის 4.1 ქვესტანდარტი. შესაბამისად, 1 სტანდარტის 1.1. და 1.2 ქვესტანდარტები შეფასებული იქნა როგორც სრულ შესაბამისობაში მყოფი სტანდარტის მოთხოვნებთან, შესაბამისად 1 სტანდარტი შეფასდა როგორც შესაბამისობაში სტანდარტის მოთხოვნებთან. მე-2 სტანდარტის მხოლოდ 2.2. ქვესტანდარტი შეფასდა როგორც მეტწილ შესაბამისობაში სტანდარტის მოთხოვნებთან, ხოლო დანარჩენი ქვესტანდარტები როგორც შესაბამისობაში სტანდარტის მოთხოვნებთან, შესაბამისად მეორე სტანდარტის შეფასდა როგორც შესაბამისობაში სტანდარტის

მოთხოვნებთან. ასევე, 3.2. ქვესტანდარტი და 4.1. ქვესტანდარტები შეფასდა, როგორც შესაბამისობაში მოთხოვნებთან.

აღსანიშნავია, რომ პროგრამის სახელწოდების ცვლილება ლოგიკურად არის ასახული წარმოდგენილ პროგრამის მიზნებში, სტრუქტურაში და მოსალოდნელ სწავლის შედეგებში. შესაბამისად, პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობა წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და არსებული გარემოებების გათვალისწინებით განისაზღვრება, როგორც შესაბამისობაშია აკრედიტაციის სტანდარტების მოთხოვნებთან.

- **რეკომენდაციები**

- რეკომენდებულია დაწესებულებამ გააძლიეროს პროგრამის ფარგლებში ტექნოლოგიური პროგრამების გამოყენება, მაგალითად: „FMG soft“, „SAP Business One“, „ERP“, Oris Manager, Oris Accounting და ა.შ.

- **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

- სასურველია პროგრამაში უფრო მეტად იყოს გამოყენებული ინგლისურენოვანი თანამედროვე პროფესიული ლიტერატურა, რაც სტუდენტებს საშუალებას მისცემს შეიძინონ ბიზნესის ადმინისტრირების, კერძოდ კი საბუღალტრო აღრიცხვისა და აუდიტის მიმართულებით უახლეს მიღწევებზე დაფუძნებული ცოდნა;
- სასურველია დაკორექტირდეს პროგრამის სწავლის შედეგების რუკა და მასზე მონიშნული იქნეს თუ რომელი სასწავლო კურსებით ხდება 3-ე, 4-ე, 6-ე და 8-ე სწავლის შედეგების გაცნობა;
- სასურველია სასწავლო კურსების სილაბუსებში გაიმიჯნოს სილაბუსის ავტორის და წამკითხველის პოზიციები ანუ დაკონკრეტდეს ვინ არის სილაბუსის ავტორი და ვინ წამკითხველი.

- **საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)**

▪ **დაწესებულების მიერ წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება**

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფმა განიხილა შპს ქუთაისის უნივერსიტეტის მიერ "საბუღალტრო აღრიცხვის და აუდიტის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტთან დაკავშირებით წარმოდგენილი არგუმენტირებულ პოზიცია, რომლის საფუძველზეც პირველი სტანდარტის 1.2 კომპონენტის შესაბამისობის დონე სტანდარტის მოთხოვნებთან დაკორექტირდა, როგორც „შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“ და მოცემულ კომპონენტში არსებული რეკომენდაცია ჩამოყალიბდა რჩევის სახით;

▪ **ხელახალი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)**

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2020 წლის 11 აგვისტოს გადაწყვეტილებით (MES 4 20 0000679096) „საბუღალტრო აღრიცხვა“ მიენიჭა პირობითი აკრედიტაცია 2 წლის ვადით, შემდეგი რეკომენდაციების გათვალისწინებით:

1. წარმოდგენილი პროგრამის მიზნები ლექსიკურად გამართულია თუმცა მე-2 და მე-3 მიზნის დეკლარირების კონტექსტი უფრო შეესაბამება შედეგს ვიდრე მიზანს, ამიტომ უნდა მოხდეს აღნიშნული მიზნების დეკლარირების კონტექსტის დაზუსტება;
2. საბუღალტრო აღრიცხვის მაგისტრატურის პროგრამის სწავლის შედეგების უკეთ უზრუნველყოფის მიზნით, რეკომენდირებულია თავისუფალი კომპონენტის სავალდებულო კურსები - „სასწავლო პრაქტიკა“ და „სამაგისტრო ნაშრომი“ გადატანილი იქნას ძირითადი სწავლის სფეროს სავალდებულო კურსებში და განისაზღვროს კურსებზე დაშვების წინაპირობები;
3. მოხდეს პროგრამით გათვალისწინებული ზოგიერთი საგნების ინტეგრაცია და გამოთავისუფლებული კრედიტების ხარჯზე დაემატოს სასწავლო კურსები, რომელთა სწავლება აუცილებელია პროგრამის მიზნების მისაღწევად;
4. გადაიხედოს და განახლდეს ზოგიერთი სასწავლო კურსის სილაბუსით გათვალისწინებული ძირითადი ლიტერატურა, რათა ისინი დაფუძნებული იყოს სწავლის სფეროს/დარგის აქტუალურ მიღწევებზე და შეესაბამებოდეს კურსის მიზანსა და სწავლების საფეხურს;
5. მოხდეს „სასწავლო პრაქტიკის“ გაძლიერება და შესაბამისად მისთვის განსაზღვრული კრედიტების გაზრდა. გაიზარდოს პრაქტიკის ხანგრძლივობა, სილაბუსში მიეთითოს საკონტაქტო საათების რაოდენობა;

6. უნდა მოხდეს, სასწავლო კურსების „ფინანსური აღრიცხვა“, „ბუღალტრული ანგარიშგება“ და „მმართველობითი აღრიცხვა გადაწვეტილებების მისაღებად“ მეტი პრაქტიკული კომპონენტებით დატვირთვა და სწავლების პროცესში რომელიმე ბუღალტრული პროგრამის ჩართვა;
7. სამაგისტრო ნაშრომის კომპონენტებსა და შეფასების კრიტერიუმებში უნდა გაიზარდოს დამოუკიდებელი კვლევის, ანალიტიკური ნაწილისა და კვლევის მიგნებების წილი. ასევე, მნიშვნელოვანია აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის მიერ მეტად კონტროლდებოდეს ციტირების ერთიანი სტანდარტის დაცვა;
8. სამაგისტრო ნაშრომების ხარისხის გაუმჯობესების მიზნით უნივერსიტეტმა სტუდენტებისათვის უნდა გაწეროს სამაგისტრო ნაშრომის შესრულების გაცილებით დეტალური ინსტრუქცია, ვიდრე ეს დღევანდელი წესითაა მოცემული (სასურველია შემდეგნაირად დაკონკრეტდეს ნაშრომის შესავლის სტრუქტურა: თემის აქტუალობა, კვლევის მიზნები, ამოცანი, საკვლევი კითხვა, ჰიპოთეზა (დაშვება) და ა.შ).
9. გადაიხედოს და შესაბამისობაში მოვიდეს სასწავლო კურსის „საერთაშორისო ბიზნესის“ სახელწოდება, მიზანი, შინაარსი, გამოყენებული ძირითადი ლიტერატურა და კრედიტების რაოდენობა. სილაბუსით გათვალისწინებული შესასწავლი თემებიდან გამომდინარე ეს არის არა „საერთაშორისო ბიზნესის“, არამედ „ბიზნეს სამართლის“ კურსი და კარგი იქნება, თუ სწორედ „ბიზნეს სამართლის სახელწოდებით“ მოხდება აღნიშნული კურსის შეთავაზება;
10. დაწესებულებამ მეტი ყურადღება დაუთმოს სტუდენტთა მიერ სამაგისტრო ნაშრომის ფარგლებში ჩატარებულ კვლევებსა და გამოყენებულ ლიტერატურას;
11. დაწესებულებამ უზრუნველყოს სასწავლო კურსების სწავლება-სწავლის მეთოდების და აქტივობების „უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვარის №3 ბრძანების შესაბამისად ფორმულირება;
12. სწავლის შედეგების უკეთ მიღწევითვის ექსპერტთა ჯგუფი რეკომენდირებულად მიიჩნევს „სამეცნიერო კვლევის სტრუქტურა, მეთოდებისა და ეთიკის“ სასწავლო კურსში სტუდენტთა დამოუკიდებელ კვლევითი უნარების განვითარებაზე მეტი აქცენტი გაკეთდეს და ფინალური თეორიული გამოცდის ნაცვლად უმჯობესია სტუდენტების მხრიდან კვლევითი ნაშრომის მომზადება, ხოლო სტუდენტთა თეორიული ცოდნის შეფასებისთვის შესაძლებელია კვლავ შუალედური გამოცდისა და ქვიზების გამოყენება;

13. სტუდენტებისთვის მეტი აკადემიური თავისუფლების მინიჭებისთვის, ექსპერტთა ჯგუფი რეკომენდირებულად მიიჩნევს სასწავლო პერსონალმა წინასწარ 7 გამოაქვეყნოს არა სამაგისტრო ნაშრომის კონკრეტული თემები (სათაურები), არამედ მათი ზოგადი კვლევითი მიმართულება რის შემდეგაც ხელმძღვანელთან კონსულტაციის პროცესში მაგისტრანტი დააკონკრეტებს თემის სათაურს. ასევე, იზრუნონ ნაშრომების ხარისხის გაუმჯობესებაზე.

შესაბამისად, გაცემული რეკომენდაციების საფუძველზე პროგრამის განვითარების და სრულყოფის მიზნით პროგრამაში განხორციელებულია რიგი ცვლილებები, კერძოდ:

1. დაკორექტირებულია პროგრამის მიზნები, სადაც ნათლად არის წარმოდგენილი ის მოცემულობა თუ რისი მიღევაც შეუძლია პროგრამის კურსდამთავრებულს;
2. „სასწავლო პრაქტიკა“ და „სამაგისტრო ნაშრომი“ გადატანილია ძირითადი სწავლის სფეროს სავალდებულო კურსებში და განსაზღვრულია მათზე დაშვების წინაპირობები;
3. რეკომენდაციის შესაბამისად ორი სასწავლო კურსი ფინანსური ანალიზი და მმართველობითი ანალიზი შეერთდა ერთ სასწავლო კურსად „ფინანსური და მმართველობითი ანალიზი“, რომლის კრედიტების რაოდენობაც განისაზღვრა 7 კრედიტით. ასევე სასწავლო კურსის „ფინანსური კონტროლი და აუდიტი“-ს ნაცვლად პროგრამაში ასახული იქნა ორი დამოუკიდებელი სასწავლო კურსი: „პრაქტიკული აუდიტი“ და „საჯარო სექტორის აუდიტი“, რაც ხელს შეუწყობს პროგრამის მიზნების მიღწევას;
4. პროგრამის ფარგლებში განახლებულია სასწავლო კურსებში გამოყენებული სავალდებულო და დამხმარე ქართულენოვანი და უცხოურ ენოვანი ლიტერატურა, რომელიც შესაბამისობაშია კურსის მიზანთან, სწავლების საფეხურთან და ასახავს სფეროს/დარგის აქტუალურ მიღწევებს;
5. პროგრამის სტრუქტურაში სავალდებულო კომპონენტის სახით წარმოდგენილია 10 კრედიტიანი სასწავლო პრაქტიკა, რომელიც გრძელდება ერთი სემესტრის მანძილზე და ითვალისწინებს სემესტრის ბოლოს პრაქტიკის გეგმის და პრაქტიკის ანგარიშის წარდგენას;
6. „ფინანსური აღრიცხვა“ სასწავლო კურსი წარმოდგენილია 6 კრედიტის მოცულობით, სადაც პრაქტიკულ სამუშაოებზე გათვალისწინებული 45 საათი, დათმობილი აქვს პრაქტიკულ კომპონენტს, კერძოდ გამოყენებულია პრაქტიკული სავარჯიშოები და ქვისები. „ბუღალტრული ანგარიშგების“ სასწავლო კურსი წარმოდგენილია 5 კრედიტის

მოცულობით, სადაც 30 საათი დათმობილი აქვს პრაქტიკულ კომპონენტს, კერძოდ გამოყენებულია პრაქტიკული დავალებები და ქვიზები. „მმართველობითი აღრიცხვა გადაწვეტილებების მისაღებად“ სასწავლო კურსი წარმოდგენილია 4 კრედიტის მოცულობით, სადაც 30 საათი დათმობილი აქვს პრაქტიკულ კომპონენტს, კერძოდ გამოყენებულია პრაქტიკული ამოცანები და ქვიზები. ამასთან ბუნდოვანია აღნიშნულ სილაბუსებში რომელი ტექნოლოგიური სოფტების გამოყენება ისწავლება;

7. არსებული რეკომენდაციის შესაბამისად სამაგისტრო ნაშრომების შეფასების სისტემაში გაზრდილია დამოუკიდებელი კვლევის, ანალიტიკური ნაწილისა და მიგნებების ხვედრითი წილი, კერძოდ სამაგისტრო ნაშრომი ფასდება ერთჯერადი შეფასების წესით 100 ქულიანი სისტემით, სადაც აღნიშნულ კომპონენტებს მთლიანობაში უჭირავს 70 ქულა, რომელიც ნაწილდება შემდეგნაირად:

- დასახული მიზნებისა და კვლევის შედეგების ურთიერთშესაბამისობა - 10 ქულა;
- კვლევის მეთოდოლოგია - 10 ქულა;
- გამოყენებული წყაროები/ლიტერატურა - 10 ქულა;
- საკვლევი საკითხის რელევანტურობა - 15 ქულა;
- შედეგების /მიგნებების ანალიზი და დასკვნები - 25 ქულა.

სამაგისტრო ნაშრომის შეფასების სისტემაში ნაშრომის გაფორმების სტანდარტების დაცვას, სადაც ციტირების ტექნიკის გამოყენება და დაცვა არის გათვალისწინებული მინიჭებული აქვს 10 ქულა, რაც იმას ნიშნავს, რომ აღნიშნულ საკითხს დათმობილი აქვს ყურადღება.

8. ქუთაისის უნივერსიტეტში მოქმედებს სამაგისტრო ნაშრომის შესრულების წესი, რომელიც დამუშავებული იქნა საანგარიშო პერიოდში და მასში დეტალურად არის გაწერილი სამაგისტრო ნაშრომის შესრულებასთან დაკავშირებული პროცედურები და ტექნიკური მთხოვნები. მათ, შორის ნაშრომის შესრულების წესში მუხლი 8, პუნქტ „ე“-ში დაკონკრეტებულია, რომ ნაშრომის შესავალ ნაწილში მოცემული უნდა იყოს კვლევის საგანი, საკვლევი პრობლემა, საკვლევი პრობლემის აქტუალობა, კვლევის მიზანი, საკვლევი შეკითხვები, გამოყენებული კვლევის მეთოდოლოგია და მეთოდები, ნაშრომის თეორიული და პრაქტიკული ღირებულება, ნაშრომის სტრუქტურის აღწერა;

9. სასწავლო კურსის „საერთაშორისო ბიზნესი“ სახელწოდება დაკორექტირებულია, როგორც „საერთაშორისო ბიზნესის რეგულირება“ და წარმოდგენილია 5 კრედიტიანი არჩევითი სასწავლო კურსის სახით. კურსის სილაბუსში სათანადოდ არის განხილული

საერთაშორისო ბიზნესის რეგულირების საკითხები და გამოყენებულია სწავლა-სწავლების და შეფასების ადექვატური მეთოდოლოგია;

10. აღსანიშნავია, რომ წარმოდგენილი იქნა საანგარიშო პერიოდში დაცული ერთი სამაგისტრო ნაშრომი, რომელიც დაწესებულების მხრიდან გაკეთებული განმარტების შესაბამისად დაცული იყო მანამდე, სანამ დაწესებულება მიიღებდა სამაგისტრო ნაშრომის შესრულების წესს საბოლოო დღეს არსებული ფორმით, შესაბამისად ბუნებრივია სამაგისტრო ნაშრომში ვერ მოხვდებოდა სამაგისტრო ნაშრომის შესრულების წესში შეტანილი ცვლილებები. ამასთან, შეიძლება ითქვას რომ წარმოდგენილ სამაგისტრო ნაშრომში მითითებული გამოყენებული ლიტერატურა არის დარგობრივი და მიზნობრივად არის გამოყენებული, თუმცა რა თქმა უნდა შესაძლებელი იყო მისი უფრო სრულყოფილი სახითაც წარმოდგენა;
11. პროგრამის სასწავლო კურსების სილაბუსებში გამოყენებული სწავლა-სწავლების მეთოდები და აქტივობები წარმოდგენილია ადექვატური სახით და შესაბამისობაში მოქმედ რეგულაციებთან;
12. სასწავლო კურსის „სამეცნიერო კვლევის სტრუქტურა, მეთოდებისა და ეთიკის“ სილაბუსში გამოყენებულია შეფასების ადექვატური მეთოდები, კერძოდ აქცენტები გაკეთებულია სტუდენტთა დამოუკიდებელი კვლევითი უნარების განვითარებაზე, შესაბამისად დასკვნითი შეფასებისთვის გამოყენებულია კვლევითი ნაშრომის პრეზენტაცია;
13. აღსანიშნავია, რომ უნივერსიტეტში მოქმედ სამაგისტრო ნაშრომების შესრულების ახალ წესში დეტალურად არის გაწერილი სამაგისტრო ნაშრომისთვის თემების არჩევის პროცედურები, კერძოდ აღნიშნული წესის მუხლი 3 არეგულირებს მოცემულ საკითხს, რომლის მიხედვითაც სამაგისტრო ნაშრომის თემის შერჩევა ხორციელდება მაგისტრანტის მიერ ნაშრომის ხელმძღვანელთან შეთანხმებით, რასაც ამტკიცებს ფაკულტეტის საბჭო.

პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები.

1.1 პროგრამის მიზნები

პროგრამის მიზნები ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულის მომზადებისკენ არის მიმართული და რა წვლილი შეაქვს სფეროსა და საზოგადოების განვითარებაში.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

„საბუღალტრო აღრიცხვა და აუდიტი“ სამაგისტრო პროგრამის მიზანი ასახავს იმ ცოდნას, უნარებსა და კომპეტენციებს რომელსაც შეიძენს პროგრამის კურსდამთავრებულები, კერძოდ პროგრამის მიზანია:

- ბუღალტრულ აღრიცხვისა და აუდიტის სფეროსათვის ღრმა და სისტემური ცოდნის მქონე კადრების მომზადება, რომლებიც სრულად წვდებიან პროფესიული ღირებულებების არსს;
- პროგრამა ორიენტირებულია თეორიული ცოდნისა და პრაქტიკული უნარ-ჩვევების მქონე კონკურენტუნარიანი სპეციალისტების მომზადებაზე, რომლებიც დამოუკიდებლად აფასებენ ფინანსური და მმართველობითი აღრიცხვის მთლიან სიტემას და სახავენ გზებს მათი ეფექტიანობის და ოპერატიულობის გაზრდისათვის. ასევე იციან ნებისმიერი ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის სამეურნეო სუბიექტში ფინანსური და მმართველობითი აღრიცხვის სისტემების შექმნის და გამართული ფუნქციონირების, ფინანსური ანგარიშგების აუდიტის დაგეგმვა-ჩატარების ტექნიკა;
- პროფესიონალების მომზადება, რომლებსაც შეუძლიათ საინფორმაციო სისტემების (ელექტრონული პროგრამების) ეფექტიანი გამოყენება, ფინანსური და მმართველობითი აღრიცხვის წარმოების, აუდიტორული შემოწმების დაგეგმვა-ჩატარების პროცესში.

პროგრამის მიზნები შესაბამისობაშია დაწესებულების მისიასთან და მიმართულია ხელი შეუწყოს სფეროს, კონკრეტულად კი საბუღალტრო აღრიცხვისა და აუდიტის მიმართულების განვითარებას. პროგრამა ორიენტირებულია შრომის ბაზარზე და

მოწოდებულია კვალიფიციური კადრების მომზადებით თავისი წვლილი შეიტანოს საზოგადოების განვითარებაში.

წინა აკრედიტაციის პირობებში მოცემულ კომპონენტში გაცემული იყო შემდეგი რეკომენდაცია: წარმოდგენილი პროგრამის მიზნები ლექსიკურად გამართულია თუმცა მე-2 და მე-3 მიზნის დეკლარირების კონტექსტი უფრო შეესაბამება შედეგს ვიდრე მიზანს, ამიტომ უნდა მოხდეს აღნიშნული მიზნების დეკლარირების კონტექსტის დაზუსტება. რომელიც გათვალისწინებულია წარმოდგენილ პროგრამაში, კერძოდ დაკორექტირებულია პროგრამის მიზნები, სადაც ნათლად არის წარმოდგენილი ის მოცემულობა თუ რისი მიღწევაც შეუძლია პროგრამის კურსდამთავრებულს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- „საბუღალტრო აღრიცხვა და აუდიტის“ სამაგისტრო პროგრამა;
- პროგრამის სილაბუსები;
- უნივერსიტეტის მისია <https://www.unik.edu.ge/Mission>;

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

- შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

1.2 პროგრამის სწავლის შედეგები

- პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებსა ან/და პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას;
- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს;
- შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

„საბუღალტრო აღრიცხვა და აუდიტის“ სამაგისტრო პროგრამას თან ახლავს ადექვატურად

გაწერილი სწავლის შედეგები, რომელიც აღწერს პროგრამის შინაარსის და სწავლების საფეხურის შესაბამის ცოდნას, უნარებს და პასუხისმგებლობა /ავტონომიურობას. პროგრამას აქვს 12 სწავლის შედეგი, რომელიც გაწერილია ბლუმის ტაქსონომიის გამოყენებით, რაც კიდევ უფრო აღქმადს და გაზომვადს ხდის ამ შედეგებს და შესაბამისობაშია პროგრამის მიზნებთან. პროგრამის სწავლის შედეგების და მიზნების პროგრამის შესაბამისობა წარმოდგენილია დანართის სახით, სადაც კარგად ჩანს თუ როგორ უწყობს ხელს ცალკეული სწავლის შედეგი პროგრამის კონკრეტული მიზნების მიღწევას.

პროგრამას თან ახლავს ასევე პროგრამის სწავლის შედეგების რუკა, სადაც წარმოდგენილია პროგრამის სწავლის შედეგების კავშირი პროგრამის სავალდებულო სასწავლო და კვლევით კომპონენტთან. პროგრამის ცალკეული კომპონენტები ხელს უწყობს სწავლის შედეგების განვითარებას გაცნობის, გაღრმავების და განმტკიცების დონეზე. ამასთან, აღსანიშნავია, რუკაზე რომ 3-ე, 4-ე, 6-ე და 8-ე სწავლის შედეგები მხოლოდ გაღრმავების და განმტკიცების დონეზე ვითარდება, რაც მიგვაჩნია, რომ დასაკორექტირებელია აკრედიტაციის სახელმძღვანელოს შესაბამისად, ანუ პროგრამის ცალკეული სწავლის შედეგი უნდა ვითარდებოდეს სამივე დონეზე. ამასთან, ჩვენი აზრით გადასახედია ასევე პრაქტიკის კომპონენტის და სამაგისტრო ნაშრომის მონაწილეობა პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევაში განმტკიცების ნაწილში, რადგანაც პროგრამის პრაქტიკის და კვლევითი კომპონენტები მათი შინაარსიდან გამომდინარე შეუძლებელია არ მონაწილეობდეს პროგრამის სწავლის შედეგების განმტკიცებაში.

პროგრამას თან ახლავს პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების გეგმა, სადაც დეტალურად არის წარმოდგენილი ცალკეული სწავლის შედეგის შეფასების რუბრიკები, რომელიც ლოგიკურად არის გაწერილი როგორც ცალკეული სწავლის შედეგის შეფასების ინდიკატორები, ისე შეფასების დონეები. წარმოდგენილი სწავლის შედეგების შეფასების გეგმა იძლევა ნათელ წარმოდგენას სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმის არსებობის და მისი გამოყენების შესახებ. გარდა ამისა პროგრამას თან ახლავს სწავლებისა და სწავლის მეთოდების/აქტივობების სწავლის შედეგებთან შესაბამისობის რუკა, სადაც ასევე ლოგიკურად არის წარმოდგენილი პროგრამის ფარგლებში გამოყენებული სწავლებისა და სწავლის მეთოდების/აქტივობების კავშირი პროგრამის სწავლის შედეგებთან და ნათელ წარმოდგენას იძლევა მათი მონაწილეობის დონის შესახებ პროგრამის ცალკეული სწავლის შედეგის მიღწევაში.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- „საბუღალტრო აღრიცხვა და აუდიტის“ სამაგისტრო პროგრამა;
- პროგრამის სილაბუსები;
- მიზნებისა და შედეგების შესაბამისობის რუკა;
- სწავლის შედეგების რუკა;
- სწავლის მეთოდების შედეგებთან შესაბამისობის რუკა;
- სწავლის შედეგების შეფასება;
- <https://www.eu.edu.ge/ge> - უნივერსიტეტის ვებ.გვერდი;

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- სასურველია დაკორექტირდეს პროგრამის სწავლის შედეგების რუკა და მასზე მონიშნული იქნეს თუ რომელი სასწავლო კურსებით ხდება 3-ე, 4-ე, 6-ე და 8-ე სწავლის შედეგების გაცნობა;

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

- შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	✓			

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, პროგრამის სტრუქტურა, შინაარსი, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

<p>2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები</p>
<p>უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები.</p>
<p>სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი</p> <p>საბუღალტრო აღრიცხვა და აუდიტის სამაგისტრო პროგრამას განსაზღვრული აქვს პროგრამაზე დაშვების წინაპირობები. კერძოდ, პროგრამაზე მიღება ხდება ერთიანი ეროვნული სამაგისტრო გამოცდების ჩაბარების შემდეგ. გარდა ამისა სავალდებულოა შიდა გამოცდის ჩაბარება სპეციალობაში და მოითხოვება ინგლისური ენის ცოდნის დადასტურება ან გამოცდის ჩაბარება B2 დონეზე. ინგლისური ენის B2 დონეზე ცოდნის დასადასტურებლად პრედენდენტებმა უნდა წარმოადგინონ ინგლისური ენის ფლობის დამადასტურებელი საერთაშორისო სერთიფიკატი (IELTS – ის (>5.0) / TOEFL – ის (>45) მოქმედი სერთიფიკატი / FCE(B2)), ან ჩააბარონ უნივერსიტეტის მიერ ორგანიზებული გამოცდა.</p> <p>უნივერსიტეტის ვებ გვერძე განთავსებულია სპეციალობაში ჩასაბარებელი საგამოცდო საკითხების ნუსხა საჭირო ლიტერატურის მითითებით, ასევე ხელმისაწვდომია ინგლისური ენის გამოცდის ტესტი ნიმუში. გამოცდა ტარდება „ქუთაისის უნივერსიტეტის“ სტუდენტის ენობრივი კომპეტენციის დადგენის წესის“ შესაბამისად. შიდა საუნივერსიტეტო გამოცდების საკითხები და გამოსაცდელ პირთა ცოდნის შეფასების კრიტერიუმები თავსდება უნივერსიტეტის ვებგვერდზე (www.unik.edu.ge) გამოცდების დაწყებამდე არანაკლებ ერთი თვით ადრე.</p>
<p>მტკიცებულებები/ინდიკატორები</p> <ul style="list-style-type: none"> ○ „საბუღალტრო აღრიცხვა და აუდიტის“ სამაგისტრო პროგრამა; ○ www.unik.edu.ge -უნივერსიტეტის ვებ.გვერდი;
<p>რეკომენდაციები:</p>
<p>რჩევები პროგრამის განვითარებისთვის</p>
<p>საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):</p>

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

- შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი

პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით. პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებსა და სწავლის შედეგებს. პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

საბუღალტრო აღრიცხვა და აუდიტის სამაგისტრო პროგრამა აგებულია ECTS სისტემის საფუძველზე, სტუდენტზეა ორიენტირებული და ემყარება სტუდენტის აკადემიურ დატვირთვას, რომელიც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამის მიზნების მისაღწევად. პროგრამის ხანგრძლივობა შეადგენს სტანდარტულად 4 სემესტრს და მოიცავს 120 კრედიტს, რომელიც ნაწილდება შემდეგნაირად:

- ძირითადი სწავლების სფეროს სავალდებულო კურსები - 75 კრედიტი;
- ძირითადი სწავლების სფეროს არჩევითი კურსები - 5 კრედიტი (სულ 15 კრედიტი);
- თავისუფალი კომპონენტების სავალდებულო კურსები - 10 კრედიტი;
- თავისუფალი კომპონენტების არჩევითი კურსები - 5 კრედიტი (სულ 15 კრედიტი);
- კვლევითი კომპონენტი (სამაგისტრო ნაშრომი) – 25 კრედიტი.

პროგრამის შინაარსი და სტრუქტურა შეესაბამება პროგრამის სახელწოდებას და ითვალისწინებს მისანიჭებელი კვალიფიკაციის სპეციფიკას. პროგრამის სტრუქტურაში სავალდებულოდ არის გათვალისწინებული პრაქტიკის კომპონენტი 10 კრედიტის, ხოლო კვლევითი კომპონენტი სამაგისტრო ნაშრომის სახით 25 კრედიტის მოცულობით. ძირითადი სწავლების სფეროს სავალდებულო სასწავლო კურსები ფარავს კვალიფიკაციის მინიჭებისათვის საჭირო კომპეტენციებს, უმაღლესი განათლების მეორე საფეხურის შესაბამის დონეზე. პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების

წინაპირობებს და უზრუნველყოფს პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას. პროგრამის სტრუქტურა ლოგიკურად არის აგებული და წარმოდგენილი როგორც სავალდებულო ისე არჩევითი სასწავლო კურსების სახით, პროგრამაში დაცულია კომპონენტზე დაშვების წინაპირობები. პროგრამით მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან. ამასთან, ვინაიდან პროგრამაზე დაშვების წინაპირობები ითვალისწინებს ინგლისური ენის ცოდნას B2 დონეზე, შესაბამისად კარგი იქნება პროგრამაში შეთავაზებული იქნეს ინგლისურენოვანი სასწავლო კურსებიც, თუნდაც პროგრამაში არსებული ქართულენოვანი სასწავლო კურსების ანალოგების სახით, რაც ცალსახად შეუწყობს ხელს ინგლისური ენის ცოდნის პროფესიულ დონეზე განმტკიცებას.

წარმოდგენილ კომპონენტში, გაცემული იყო შედეგი რეკომენდაციები:

- საბუღალტრო აღრიცხვა და აუდიტის მაგისტრატურის პროგრამის სწავლის შედეგების უკეთ უზრუნველყოფის მიზნით, რეკომენდირებულია თავისუფალი კომპონენტის სავალდებულო კურსები - „სასწავლო პრაქტიკა“ და „სამაგისტრო ნაშრომი“ გადატანილი იქნას ძირითადი სწავლის სფეროს სავალდებულო კურსებში და განისაზღვროს კურსებზე დაშვების წინაპირობები;
- მოხდეს პროგრამით გათვალისწინებული ზოგიერთი საგნების ინტეგრაცია და გამოთავისუფლებული კრედიტების ხარჯზე დაემატოს სასწავლო კურსები, რომელთა სწავლება აუცილებელია პროგრამის მიზნების მისაღწევად;

აღსანიშნავია, რომ წარმოდგენილი რეკომენდაციები გათვალისწინებულია, კერძოდ: „სასწავლო პრაქტიკა“ და „სამაგისტრო ნაშრომი“ გადატანილია ძირითადი სწავლის სფეროს სავალდებულო კურსებში და განსაზღვრულია მათზე დაშვების წინაპირობები. ასევე, რეკომენდაციის შესაბამისად ორი სასწავლო კურსი ფინანსური ანალიზი და მმართველობითი ანალიზი შეერთდა ერთ სასწავლო კურსად „ფინანსური და მმართველობითი ანალიზი“, რომლის კრედიტების რაოდენობაც განისაზღვრა 7 კრედიტით. ასევე სასწავლო კურსის „ფინანსური კონტროლი და აუდიტი“-ს ნაცვლად პროგრამაში ასახული იქნა ორი დამოუკიდებელი სასწავლო კურსი: „პრაქტიკული აუდიტი“ და „საჯარო სექტორის აუდიტი“, რაც ხელს შეუწყობს პროგრამის მიზნების მიღწევას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- „საბუღალტრო აღრიცხვა და აუდიტის“ სამაგისტრო პროგრამა;
- პროგრამის სილაბუსები;

<ul style="list-style-type: none"> ○ პროგრამის სასწავლო გეგმა;
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის <ul style="list-style-type: none"> ○ სასურველია პროგრამაში შეთავაზებული იქნეს ინგლისურენოვანი სასწავლო კურსებიც, თუნდაც პროგრამაში არსებული ქართულენოვანი სასწავლო კურსების ანალოგების სახით, რაც ცალსახად შეუწყობს ხელს ინგლისური ენის ცოდნის პროფესიულ დონეზე განმტკიცებას.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება <ul style="list-style-type: none"> <input checked="" type="checkbox"/> შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.3. სასწავლო კურსი
<ul style="list-style-type: none"> ➤ ძირითადი სფეროს თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს, ხოლო ყოველი სასწავლო კურსის/საგნის/მოდულის/კონცენტრაციის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა შეესაბამება ამ კურსის სწავლის შედეგებს; ➤ სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა დაფუძნებულია სწავლის სფეროს აქტუალურ მიღწევებზე და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი <p>საბუღალტრო აღრიცხვა და აუდიტის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში სასწავლო კურსებით გათვალისწინებული სწავლის შედეგები შესაბამისობაშია პროგრამის სწავლის შედეგებთან, შესაბამისად სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება თავად კურსის შინაარსს და უმაღლესი განათლების მეორე საფეხურს. სასწავლო კურსები წარმოდგენილია 3, 4, 5, 6 და 7 კრედიტიანი კურსების სახით და მათი კრედიტების მოცულობა შესაბამისობაშია ამავე კურსების სწავლის შედეგებთან.</p>

სასწავლო კურსებში გამოყენებული სასწავლო მასალა დაფუძნებულია სწავლების სფეროს აქტუალურ მიღწევებზე და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას, თუმცა სასურველია პროგრამაში უფრო მეტად იყოს გამოყენებული ინგლისურენოვანი თანამედროვე პროფესიული ლიტერატურა, რაც სტუდენტებს საშუალებას მისცემს შეიძინონ ბიზნესის ადმინისტრირების, კერძოდ კი საბუღალტრო აღრიცხვისა და აუდიტის მიმართულებით უახლეს მიღწევებზე დაფუძნებული ცოდნა. ამასთან, პროგრამით გათვალისწინებული სასწავლო კურსებისთვის გამოყოფილი სამუშაო საათების რაოდენობა ლოგიკურია და შეესაბამება სასწავლო კურსის შინაარსს.

ამასთან, წინა აკრედიტაციის პერიოდში მოცემულ კომპონენტში გაცემული იქნა შემდეგი რეკომენდაციები:

1. გადაიხედოს და განახლდეს ზოგიერთი სასწავლო კურსის სილაბუსით გათვალისწინებული ძირითადი ლიტერატურა, რათა ისინი დაფუძნებული იყოს სწავლის სფეროს/დარგის აქტუალურ მიღწევებზე და შეესაბამებოდეს კურსის მიზანსა და სწავლების საფეხურს;
2. მოხდეს „სასწავლო პრაქტიკის“ გაძლიერება და შესაბამისად მისთვის განსაზღვრული კრედიტების გაზრდა. გაიზარდოს პრაქტიკის ხანგრძლივობა, სილაბუსში მიეთითოს საკონტაქტო საათების რაოდენობა;
3. უნდა მოხდეს, სასწავლო კურსების „ფინანსური აღრიცხვა“, „ბუღალტრული ანგარიშგება“ და „მმართველობითი აღრიცხვა გადაწვეტილებების მისაღებად“ მეტი პრაქტიკული კომპონენტებით დატვირთვა და სწავლების პროცესში რომელიმე ბუღალტრული პროგრამის ჩართვა;

შესაბამისად, დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციიდან ირკვევა, რომ აღნიშნული რეკომენდაციები გათვალისწინებულია, კერძოდ:

- პროგრამის ფარგლებში განახლებულია სასწავლო კურსებში გამოყენებული სავალდებულო და დამხმარე ქართულენოვანი და უცხოურ ენოვანი ლიტერატურა, რომელიც შესაბამისობაშია კურსის მიზანთან, სწავლების საფეხურთან და ასახავს სფეროს/დარგის აქტუალურ მიღწევებს;
- პროგრამის სტრუქტურაში სავალდებულო კომპონენტის სახით წარმოდგენილია 10 კრედიტიანი სასწავლო პრაქტიკა, რომელიც გრძელდება ერთი სემესტრის მანძილზე და ითვალისწინებს სემესტრის ბოლოს პრაქტიკის გეგმის და პრაქტიკის ანგარიშის წარდგენას;

- „ფინანსური აღრიცხვა“ სასწავლო კურსი წარმოდგენილია 6 კრედიტის მოცულობით, სადაც პრაქტიკულ სამუშაოებზე გათვალისწინებული 45 საათი, დათმობილი აქვს პრაქტიკულ კომპონენტს, კერძოდ გამოყენებულია პრაქტიკული სავარჯიშოები და ქვისები. „ბუღალტრული ანგარიშგების“ სასწავლო კურსი წარმოდგენილია 5 კრედიტის მოცულობით, სადაც 30 საათი დათმობილი აქვს პრაქტიკულ კომპონენტს, კერძოდ გამოყენებულია პრაქტიკული დავალებები და ქვისები. „მმართველობითი აღრიცხვა გადაწვეტილებების მისაღებად“ სასწავლო კურსი წარმოდგენილია 4 კრედიტის მოცულობით, სადაც 30 საათი დათმობილი აქვს პრაქტიკულ კომპონენტს, კერძოდ გამოყენებულია პრაქტიკული ამოცანები და ქვისები.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ბუნდოვანია აღნიშნულ სილაბუსებში რომელი ტექნოლოგიური პროფილური პროგრამების გამოყენება ისწავლება, შესაბამისად რეკომენდებულია დაწესებულებამ გააძლიეროს პროგრამის ფარგლებში ტექნოლოგიური პროგრამების გამოყენება, მაგალითად შეიძლება გამოყენებული იქნეს: „FMG soft“, „SAP Business One“, „ERP“, Oris Manager, Oris Accounting და ა.შ.

აღნიშნულ ქვესტანდარტში ასევე გაცემული იყო შემდეგი რეკომენდაცია:

გადაიხედოს და შესაბამისობაში მოვიდეს სასწავლო კურსის „საერთაშორისო ბიზნესის“ სახელწოდება, მიზანი, შინაარსი, გამოყენებული ძირითადი ლიტერატურა და კრედიტების რაოდენობა. სილაბუსით გათვალისწინებული შესასწავლი თემებიდან გამომდინარე ეს არის არა „საერთაშორისო ბიზნესის“, არამედ „ბიზნეს სამართლის“ კურსი და კარგი იქნება, თუ სწორედ „ბიზნეს სამართლის სახელწოდებით“ მოხდება აღნიშნული კურსის შეთავაზება.

შესაბამისად, აღნიშნული რეკომენდაცია გათვალისწინებული იქნა, კერძოდ სასწავლო კურსის „საერთაშორისო ბიზნესის“ სახელწოდება დაკორექტირებულია, როგორც „საერთაშორისო ბიზნესის რეგულირება“ და წარმოდგენილია 5 კრედიტიანი არჩევითი სასწავლო კურსის სახით. კურსის სილაბუსში სათანადოდ არის განხილული საერთაშორისო ბიზნესის რეგულირების საკითხები და გამოყენებულია სწავლა-სწავლების და შეფასების ადექვატური მეთოდოლოგია.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

<ul style="list-style-type: none"> ○ „საბუღალტრო აღრიცხვა და აუდიტის“ სამაგისტრო პროგრამა; ○ პროგრამის სილაბუსები; ○ პროგრამის სასწავლო გეგმა;
<p>რეკომენდაციები:</p> <ul style="list-style-type: none"> ○ რეკომენდებულია დაწესებულებამ გააძლიეროს პროგრამის ფარგლებში ტექნოლოგიური პროგრამების გამოყენება, მაგალითად: „FMG soft“, „SAP Business One“, „ERP“, Oris Manager, Oris Accounting და ა.შ.
<p>რჩევები პროგრამის განვითარებისთვის</p> <ul style="list-style-type: none"> ○ სასურველია პროგრამაში უფრო მეტად იყოს გამოყენებული ინგლისურენოვანი თანამედროვე პროფესიული ლიტერატურა, რაც სტუდენტებს საშუალებას მისცემს შეიძინონ ბიზნესის ადმინისტრირების, კერძოდ კი საბუღალტრო აღრიცხვისა და აუდიტის მიმართულებით უახლეს მიღწევებზე დაფუძნებული ცოდნა.
<p>საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):</p> <p>მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)</p>
<p>შეფასება</p> <ul style="list-style-type: none"> <input type="checkbox"/> შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input checked="" type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

<p>2.4 პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება</p>
<p>პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.</p>
<p>სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი</p> <p>საბუღალტრო აღრიცხვა და აუდიტის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა უზრუნველყოს პროგრამის სტუდენტებისთვის პრაქტიკული და კვლევითი უნარების გამომუშავებას, კერძოდ პროგრამის სტრუქტურაში გამოყენებულია ე.წ. „თეორიულ კურსებში ჩაშენებული პრაქტიკა“ მოდელი და ე.წ. „დამოუკიდებელი კურსის სახით</p>

პრაქტიკა“. აღნიშნული შერეული მიდგომა იძლევა საშუალებას პროგრამის სტუდენტებს განუვითაროს პრაქტიკული უნარები, რადგანაც ცალკეული სასწავლო კურსებში აქტიურად არის გამოყენებული პრაქტიკული დავალებების, რეფერატების, შემთხვევის ანალიზის მეთოდები. ამასთან, პროგრამა 10 კრედიტის ფარგლებში ითვალისწინებს პრაქტიკის დამოუკიდებელ კომპონენტს, რომლის მიზანიც არის მაგისტრანტმა შეძლოს რეალურ ბიზნეს გარემოში: ფინანსური დოკუმენტების დამუშავება; ფინანსური და მმართველობითი აღრიცხვის წარმოება შესაბამისი სტანდარტების დაცვით; ბუღალტრული ანგარიშგებების მომზადება; ბუღალტრული ანგარიშგებების წაკითხვა, გაანალიზება და ადეკვატური დასკვნებისა და შეფასებების გაკეთება.

აღსანიშნავია, რომ დაწესებულებას გაფორმებული აქვს თანამშრომლობის მემორანდუმები ისეთ ორგანიზაციებთან, როგორცაა: სს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია კრისტალი, სს მისო ქართული კრედიტი, ზირაათ ბანკი, ვითიბი ბანკი ჯორჯია, ბაზის ბანკი, სადაზღვევო კომპანია ალდაგი, სადაზღვევო კომპანია არდი, სადაზღვევო კომპანია ჯიპიაი ჰოლდინგი, ააიპ ინსტიტუციური და შესაძლებლობების განვითარების ცენტრი და სხვა. აღნიშნულ ორგანიზაციებთან თანამშრომლობის ერთერთი მიზანი სწორედ უნივერსიტეტის სტუდენტებისთვის პრაქტიკისა და სტაჟირების ხელშეწყობა არის.

კვლევითი კომპონენტის სახით პროგრამის სტუდენტებს უწევთ სამაგისტრო ნაშრომის შესრულება 25 კრედიტის მოცულობით. სამაგისტრო ნაშრომის შესრულებამდე სტუდენტები სავალდებულოდ სწავლობენ „სამეცნიერო კვლევის სტრუქტურა, მეთოდები და ეთიკა“ სასწავლო კურსს, სადაც ეცნობიან სამეცნიერო კვლევას, როგორც ცალკე დისციპლინას და სწავლობენ სამეცნიერო კვლევის ჩატარების ძირითად მეთოდებს, კვლევის აგების სტრუქტურას და სამეცნიერო კვლევის ეთიკას; სწავლობენ სხვადასხვა მეთოდით მონაცემთა შეგროვებას, მათ გაანალიზებას და ეფექტურ გამოყენებას; გამოიმუშავენ კვლევის ჩატარების პრაქტიკულ უნარებს; აანალიზებენ სამეცნიერო კვლევის ეთიკის მნიშვნელობას და მისი დაცვის მნიშვნელობას. გარდა ამისა, პროგრამის სტუდენტებს კვლევითი კომპონენტის შესრულებამდე ასევე უწევთ „სამეცნიერო წერის“ სავალდებულო კურსის გავლა, სადაც სწავლობენ სამეცნიერო წერის ძირითად სტანდარტებს და ინვითარებენ სამეცნიერო წერის უნარ-ჩვევებს. პროგრამის სტუდენტები სწავლების ბოლო სემესტრში ასრულებენ სამაგისტრო ნაშრომს, რომელიც მიზანიც არის გააერთიანოს სწავლის პროცესში მიღებული ცოდნა; აჩვენოს (დემონსტრირება მოახდინოს): ინფორმაციის მოძიების, წყაროებთან მუშაობის, ანალიზის, შინაარსის სტრუქტურირების, შეჯამების, დასკვნისა და მიღებული შედეგების სამიზნე აუდიტორიისათვის მიწოდების უნარები. სამაგისტრო ნაშრომები სრულდება

ინდივიდუალურად და ხდება მისი წარდგენა კომისიის წინაშე.

მოცემულ ქვესტანდარტში გაცემული იყო შემდეგი რეკომენდაცია: დაწესებულებამ მეტი ყურადღება დაუთმოს სტუდენტთა მიერ სამაგისტრო ნაშრომის ფარგლებში ჩატარებულ კვლევებსა და გამოყენებულ ლიტერატურას. შეიძლება ითქვას, რომ აღნიშნული რეკომენდაცია შესრულების პროცესშია, რაც დასტურდება საანგარიშო პერიოდში დაცული სამაგისტრო ნაშრომით და დაწესებულების მხრიდან გაკეთებული წერილობითი განმარტებით, კერძოდ შესამოწმებლად წარმოდგენილი სამაგისტრო ნაშრომი დაცული იყო მანამდე, სანამ დაწესებულება მიიღებდა სამაგისტრო ნაშრომის შესრულების ახალ წესს, შესაბამისად ბუნებრივია სამაგისტრო ნაშრომში სრულად ვერ მოხვდებოდა სამაგისტრო ნაშრომის შესრულების წესში შეტანილი ცვლილებები.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- „საბუღალტრო აღრიცხვა და აუდიტის“ სამაგისტრო პროგრამა;
- პროგრამის სილაბუსები;
- პროგრამის სასწავლო გეგმა;
- დაცული სამაგისტრო ნაშრომი;
- მემორანდუმები ორგანიზაციებთან;

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

- შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.5 სწავლება-სწავლის მეთოდები

პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

საბუღალტრო აღრიცხვა და აუდიტის სამაგისტრო პროგრამის ფარგლებში გამოიყენება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლა-სწავლების მეთოდები, კერძოდ სასწავლო კურსების ფარგლებში გამოიყენება სწავლებისა და სწავლის ისეთი მეთოდები, რომლებიც ითვალისწინებს სასწავლო კურსის შინაარსს, კურსით მისაღწევ სწავლის შედეგებს და შესაბამისობაშია მაგისტრატურის საფეხურთან. სასწავლო კურსების ფარგლებში ფართოდაა გამოყენებული სწავლება-სწავლის ისეთი მეთოდები, როგორებიცაა ლექცია, სამუშაო ჯგუფში მუშაობა, პრაქტიკული მუშაობა, სემინარი, ელექტრონული სწავლება. პროგრამის განხორციელების დროს გამოყენებული სწავლება-სწავლის მეთოდები მოიცავს შემდეგ აქტივობებს - დისკუსია-დებატები, პრეზენტაცია, სემინარი და სხვ.

აღსანიშნავია, რომ პროგრამის ფარგლებში გამოყენებული სწავლების სტრუქტურა ეფუძნება ლექცია-პრაქტიკულების ჩატარებას. სალექციო მეცადინეობების შედეგები ასახვას პოულობს ცალკეული თემის თეორიული არსის გააზრებასა და მიღებული შედეგების განზოგადებაში. ლექციებზე მაგისტრანტები მონაწილეობას იღებენ დებატებში, ხოლო ცოდნის გაღრმავება, დაკონკრეტება და კონკრეტული საკითხების განხილვა ხდება პრაქტიკულ მეცადინეობებზე. თეორიული მასალის მომზადებასთან ერთად სწავლება ითვალისწინებს წერილობითი დავალებების შესრულებას, შუალედურ და საბოლოო გამოცდას. პროფესიული უნარ-ჩვევების განმტკიცების მიზნით, მაგისტრანტებმა უნდა გაიარონ პრაქტიკა შესაბამის ორგანიზაციებსა და დაწესებულებებში. მეოთხე სემესტრში კი დაამუშავონ სამაგისტრო ნაშრომი და დასაცავად წარადგინონ კომისიის წინაშე.

აღნიშნულ ქვესტანდარტში გაცემული იყო შემდეგი რეკომენდაცია: დაწესებულებამ უზრუნველყოს სასწავლო კურსების სწავლება-სწავლის მეთოდების და აქტივობების „უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვარის №3 ბრძანების შესაბამისად ფორმულირება, რომელიც გათვალისწინებულია დაწესებულების მიერ, კერძოდ პროგრამის სასწავლო კურსების სილაბუსებში გამოყენებული სწავლა-სწავლების მეთოდები და აქტივობები შესაბამისობაშია მოქმედ რეგულაციებთან.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- „საბუღალტრო აღრიცხვა და აუდიტის“ სამაგისტრო პროგრამა;
- პროგრამის სილაბუსები;

<ul style="list-style-type: none"> ○ პროგრამის სასწავლო გეგმა; ○ სწავლის მეთოდების შედეგებთან შესაბამისობის რუკა;
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
<p>შეფასება</p> <p><input checked="" type="checkbox"/> შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან</p>

2.6. სტუდენტების შეფასება
<p>სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების მიხედვით, გამჭვირვალეა და კანონმდებლობასთან შესაბამისი.</p>
<p>სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი</p> <p>საბუღალტრო აღრიცხვა და აუდიტის სამაგისტრო პროგრამაზე სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების მიხედვით, კერძოდ შეფასების მიზანია ხარისხობრივად განსაზღვროს სტუდენტის სწავლის შედეგები აკადემიური პროგრამის მიზნებთან და პარამეტრებთან მიმართებით. შეფასება უნდა იყოს, როგორც შემაჯამებელი ხასიათის, ასევე მაფორმირებელი (უკუკავშირის მიმცემი). სწავლის შედეგის მიღწევის დონე ფასდება შეფასების ფორმებით - შუალედური შეფასებით და დასკვნითი შეფასებით, რომელთა ჯამი წარმოადგენს საბოლოო შეფასებას; შეფასების ფორმები შეიცავს შეფასების კომპონენტებს – შეფასების ფორმების ნაწილი, რომელიც განსაზღვრავს სტუდენტის ცოდნის ან/და უნარის ან/და კომპეტენციების შეფასების ხერხს/ხერხებს, რომელიც შეიძლება აერთიანებდეს შეფასების ერთგვაროვან მეთოდებს (ზეპირი/წერიითი გამოცდა, ზეპირი/წერიითი გამოკითხვა, პრაქტიკული/თეორიული სამუშაო და სხვ.);</p> <p>შეფასების მეთოდი – საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტში განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევის შესაფასებლად გამოსაყენებელი საშუალება/საშუალებები</p>

(ტესტი, ესე/ესეი, დემონსტრირება, პრეზენტაცია, დისკუსია, პრაქტიკული/თეორიული დავალების შესრულება, სამუშაო ჯგუფში მუშაობა, დისკუსიაში მონაწილეობა, კაზუსის ამოხსნა, იმიტირებულ პროცესში მონაწილეობა, ობიექტურად სტრუქტურირებული კლინიკური გამოცდა და სხვ);

შეფასების ფორმებია - შუალედური შეფასება და დასკვნითი შეფასება, რომელთა ჯამი წარმოადგენს საბოლოო შეფასებას;

შუალედური შეფასება – 60 ქულა;

დასკვნითი შეფასება - 40 ქულა.

სასწავლო კურსის სწავლის შედეგის მიღწევის დონის შეფასების უდიდესი შესაძლებელი ქულაა 100 ქულა, აქედან დასკვნით შეფასებაზე მოდის 40 ქულა, შუალედურ შეფასებაზე - 60 ქულა, რომელსაც შუალედური შეფასების სხვადასხვა კომპონენტზე სპეციფიკის შესაბამისად ანაწილებს სასწავლო კომპონენტის განმახორციელებელი პირი.

დასკვნით გამოცდაზე სტუდენტი დაიშვება შუალედური შეფასების მინიმალური ზღვარის გადალახვის შემთხვევაში. დასკვნითი გამოცდა ჩაითვლება ჩაბარებულად დასკვნითი გამოცდის მინიმალური ზღვარის გადალახვის შემთხვევაში.

შუალედური და დასკვნითი შეფასებებისთვის განსაზღვრულია შემდეგი მინიმალური კომპეტენციის ზღვრები: შუალედური შეფასების 42%-ს (25 ქულა) და დასკვნითი გამოცდისათვის კი 50%+1ს (21 ქულა).

შეფასების გრადაცია:

სასწავლო კურსის მაქსიმალური შეფასება 100 ქულის ტოლია. შეფასების სისტემა ითვალისწინებს:

ა) ხუთი სახის დადებით შეფასებას:

(A) ფრიადი – შეფასების 91-100 ქულა;

(B) ძალიან კარგი – მაქსიმალური შეფასების 81-90 ქულა;

(C) კარგი – მაქსიმალური შეფასების 71-80 ქულა;

(D) დამაკმაყოფილებელი – მაქსიმალური შეფასების 61-70 ქულა;

(E) საკმარისი – მაქსიმალური შეფასების 51-60 ქულა.

ბ) ორი სახის უარყოფით შეფასებას:

(FX) ვერ ჩააბარა – მაქსიმალური შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ მაგისტრანტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;

(F) ჩაიჭრა – მაქსიმალური შეფასების 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ

მაგისტრანტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტში, FX-ის მიღების შემთხვევაში დამატებითი გამოცდა დაინიშნება დასკვნითი გამოცდის შედეგების გამოცხადებიდან არანაკლებ 5 დღეში. სტუდენტის მიერ დამატებით გამოცდაზე მიღებულ შეფასებას არ ემატება დასკვნით შეფასებაში მიღებული ქულათა რაოდენობა. დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასება არის დასკვნითი შეფასება და აისახება საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტის საბოლოო შეფასებაში. დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასების გათვალისწინებით საგანმანათლებლო კომპონენტის საბოლოო შეფასებაში 0-50 ქულის მიღების შემთხვევაში, სტუდენტს უფორმდება შეფასება F-0 ქულა.

საგანმანათლებლო პროგრამის კვლევითი კომპონენტის (სამაგისტრო ნაშრომის) შეფასება ხდება ერთჯერადი შეფასების წესით. სამაგისტრო ნაშრომი/პროექტი მოწმდება პლაგიატის ელექტრონული პროგრამით „StrikePlagiarism.com“. ამასთან, მოცემულ ქვესტანდარტში გაცემული იყო შემდეგი რეკომენდაციები:

- სამაგისტრო ნაშრომის კომპონენტებსა და შეფასების კრიტერიუმებში უნდა გაიზარდოს დამოუკიდებელი კვლევის, ანალიტიკური ნაწილისა და კვლევის მიგნებების წილი. ასევე, მნიშვნელოვანია აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის მიერ მეტად კონტროლდებოდეს ციტირების ერთიანი სტანდარტის დაცვა;
- სწავლის შედეგების უკეთ მიღწევისთვის ექსპერტთა ჯგუფი რეკომენდირებულად მიიჩნევს „სამეცნიერო კვლევის სტრუქტურა, მეთოდებისა და ეთიკის“ სასწავლო კურსში სტუდენტთა დამოუკიდებელ კვლევითი უნარების განვითარებაზე მეტი აქცენტი გაკეთდეს და ფინალური თეორიული გამოცდის ნაცვლად უმჯობესია სტუდენტების მხრიდან კვლევითი ნაშრომის მომზადება, ხოლო სტუდენტთა თეორიული ცოდნის შეფასებისთვის შესაძლებელია კვლავ შუალედური გამოცდისა და ქვიზების გამოყენება;

აღნიშნული რეკომენდაციები გათვალისწინებული იქნა დაწესებულების მხრიდან, კერძოდ არსებული რეკომენდაციის შესაბამისად სამაგისტრო ნაშრომების შეფასების სისტემაში გაზრდილია დამოუკიდებელი კვლევის, ანალიტიკური ნაწილისა და მიგნებების ხვედრითი წილი, კერძოდ სამაგისტრო ნაშრომი ფასდება ერთჯერადი შეფასების წესით 100 ქულიანი სისტემით, სადაც აღნიშნულ კომპონენტებს მთლიანობაში უჭირავს 70 ქულა, რომელიც ნაწილდება შემდეგნაირად:

- დასახული მიზნებისა და კვლევის შედეგების ურთიერთშესაბამისობა - 10 ქულა;
- კვლევის მეთოდოლოგია - 10 ქულა;
- გამოყენებული წყაროები/ლიტერატურა - 10 ქულა;
- საკვლევი საკითხის რელევანტურობა - 15 ქულა;
- შედეგების /მიგნებების ანალიზი და დასკვნები - 25 ქულა.

სამაგისტრო ნაშრომის შეფასების სისტემაში ნაშრომის გაფორმების სტანდარტების დაცვას, სადაც ციტირების ტექნიკის გამოყენება და დაცვა არის გათვალისწინებული მინიჭებული აქვს 10 ქულა, რაც იმას ნიშნავს, რომ აღნიშნულ საკითხს დათმობილი აქვს ყურადღება. გარდა, ამისა სასწავლო კურსის „სამეცნიერო კვლევის სტრუქტურა, მეთოდებისა და ეტიკის“ სილაბუსში გამოყენებულია შეფასების ადექვატური მეთოდები, კერძოდ აქცენტები გაკეთებულია სტუდენტთა დამოუკიდებელი კვლევითი უნარების განვითარებაზე, შესაბამისად დასკვნითი შეფასებისთვის გამოყენებულია კვლევითი ნაშრომის პრეზენტაცია.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- „საბუღალტრო აღრიცხვა და აუდიტის“ სამაგისტრო პროგრამა;
- პროგრამის სილაბუსები;

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

- შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა	√			

3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა

პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნას, შესაბამისი სერვისების შეთავაზებით; ხელს უწყობს სტუდენტების მაქსიმალურ ინფორმირებას, ახორციელებს მრავალფეროვან ღონისძიებებს და ხელს უწყობს სტუდენტების ჩართულობას ადგილობრივ და/ან საერთაშორისო პროექტებში.

3.1 სტუდენტთა საკონსულტაციო მომსახურება
სტუდენტი იღებს სასწავლო პროცესის დაგეგმვაზე, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებაზე, დასაქმებაზე სათანადო კონსულტაციას და კარიერულ განვითარებასთან დაკავშირებით მხარდაჭერას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი არ შეფასებულა
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით
რეკომენდაციები: წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

o

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

- შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

3.2 მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა

მაგისტრანტებსა და დოქტორანტებს ჰყავთ კვალიფიციური ხელმძღვანელი.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

საბუღალტრო აღრიცხვა და აუდიტის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში სამაგისტრო ნაშრომი სავალდებულო კომპონენტს წარმოადგენს, რომელსაც სტუდენტი დამამთავრებელ სემესტრში ასრულებს. სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელის უფლება-მოვალეობები და ხელმძღვანელობის პროცესის რეგულირდება „სამაგისტრო ნაშრომის შესრულების წესით“.

უნივერსიტეტში არსებული წესის მიხედვით, სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელი ხელმძღვანელობს მაგისტრანტის მუშაობას, ეხმარება მას კვლევის პროექტის შემუშავებაში, წყაროების შერჩევაში, საკვლევი პრობლემის ჩამოყალიბებაში, საკვლევი შეკითხვებისა და ჰიპოთეზების ფორმირებაში, აძლევს ზოგად მითითებებს დარგის აქტუალური გამოწვევებისა და შესაბამისი მიმართულებით კვლევის განხორციელების თაობაზე. სტუდენტს სამაგისტრო ნაშრომის შესრულებისთვის შეიძლება ჰყავდეს ერთი ან რამდენიმე ხელმძღვანელი, რომელსაც აქვს საკვლევი თემის შესაბამისი სამეცნიერო-კვლევითი გამოცდილება, ამასთან ერთი აკადემიური/მოწვეული პერსონალის მიერ შესაძლებელია ერთდროულად მაქსიმუმ 3 სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელობა. სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელის არჩევა ხდება სტუდენტის მიერ, ხოლო სამაგისტრო ნაშრომის თემის შერჩევა ხორციელდება მაგისტრანტის მიერ ნაშრომის ხელმძღვანელთან შეთანხმებით. შერჩეულ სამაგისტრო ნაშრომს შესაბამისი სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელ(ებ)ის წარდგინებით ამტკიცებს ფაკულტეტის საბჭო. სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელი წერს დასკვნას ნაშრომის შესრულების შესახებ და განსაზღვრავს ნაშრომის რეცენზენტისთვის გადაცემის საკითხს

არაუგვიანეს მე-16 კვირისა. სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელი სამაგისტრო ნაშრომს რეცენზენტისთვის წარდგენამდე ამოწმებს პლაგიატზე. სამაგისტრო ნაშრომი მოწმდება პლაგიატის ელექტრონული პროგრამით „StrikePlagiarism.com“. ხელმძღვანელი უფლებამოსილია პლაგიატის აღმოჩენის შემთხვევაში ერთხელ დაუბრუნოს ავტორს ნაშრომი და მისცეს რეკომენდაციები.

ხელმძღვანელის დადებითი დასკვნის შემთხვევაში ნაშრომი გადაეცემა ორ რეცენზენტს დასკვნის მომზადების მიზნით. რეცენზენტის მიერ დადებითი დასკვნის (დაიშვება საჯარო დაცვაზე) მომზადების შემთხვევაში სამაგისტრო ნაშრომი შეფასების მიზნით გადაეცემა სამაგისტრო ნაშრომის დაცვის კომისიას არაუგვიანეს მე-17 კვირისა. სამაგისტრო ნაშრომის დაცვის კომისია აფასებს ნაშრომს.

წარმოდგენილ ქვესტანდარტში აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაცემული იყო შემდეგი რეკომენდაციები:

- სამაგისტრო ნაშრომების ხარისხის გაუმჯობესების მიზნით უნივერსიტეტმა სტუდენტებისათვის უნდა გაწეროს სამაგისტრო ნაშრომის შესრულების გაცილებით დეტალური ინსტრუქცია, ვიდრე ეს დღევანდელი წესითაა მოცემული (სასურველია შემდეგნაირად დაკონკრეტდეს ნაშრომის შესავლის სტრუქტურა: თემის აქტუალურობა, კვლევის მიზნები, ამოცანი, საკვლევი კითხვა, ჰიპოთეზა (დაშვება) და ა.შ);
- სტუდენტებისთვის მეტი აკადემიური თავისუფლების მინიჭებისთვის, ექსპერტთა ჯგუფი რეკომენდირებულად მიიჩნევს სასწავლო პერსონალმა წინასწარ გამოაქვეყნოს არა სამაგისტრო ნაშრომის კონკრეტული თემები (სათაურები), არამედ მათი ზოგადი კვლევითი მიმართულება რის შემდეგაც ხელმძღვანელთან კონსულტაციის პროცესში მაგისტრანტი დააკონკრეტებს თემის სათაურს. ასევე, იზრუნონ ნაშრომების ხარისხის გაუმჯობესებაზე.

აღნიშნულ რეკომენდაციებთან მიმართებით შეიძლება ითქვას, რომ დაწესებულებამ მათი შესრულების მიზნით გადადგა მნიშვნელოვანი ნაბიჯები, კერძოდ უნივერსიტეტში შემუშავებულია და მოქმედებს „სამაგისტრო ნაშრომის შესრულების წესი“, სადაც დეტალურად არის გაწერილი სამაგისტრო ნაშრომის არჩევის, შესრულების და შეფასების პროცედურები. გარდა, ამისა პროგრამას თან ახლავს სამაგისტრო ნაშრომის სილაბუსი, რაც ხელმისაწვდომია პროგრამის ნებისმიერი სტუდენტისთვის. აღსანიშნავია, რომ სამაგისტრო ნაშრომის შესრულების წესი განთავსებულია დაწესებულების ვებ. გვერდზე და საანგარიშო პერიოდში მასში განხორციელებულია გარკვეული ცვლილებები. (იხ. ელ. ბმული <https://unik.edu.ge/PagePDF/29a86b6f986b6efd6ffc2d01803b4d8d.pdf>). აღნიშნული

წესით არის დარეგულირებული ასევე სამაგისტრო ნაშრომის თემის არჩევის პროცედურაც, რომლის მიხედვითაც მაგისტრანტი პოტენციურ ხელმძღვანელთან შეთანხმებით არჩევს სამაგისტრო ნაშრომის თემას, რომელიც საბოლოოდ მტკიცდება ფაკულტეტის საბჭოზე.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- „საბუღალტრო აღრიცხვა და აუდიტის“ სამაგისტრო პროგრამა;
- პროგრამის სილაბუსები;
- შპს „ქუთაისის უნივერსიტეტის „სამაგისტრო ნაშრომის შესრულების წესით“;

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

- შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	√			

4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა

ადამიანური, მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრად, სტაბილურ, ეფექტიან და ეფექტურ ფუნქციონირებას და განსაზღვრული მიზნების მიღწევას.

4.1 ადამიანური რესურსი

- პროგრამას ახორციელებენ შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირები, რომლებსაც აქვთ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია;
- პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის წარმართვას და ასევე, სამეცნიერო-კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო საქმიანობისა და სხვა მათზე დაკისრებული ფუნქციების ჯეროვან შესრულებას. აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს შორის ბალანსი უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას;
- პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება და უშუალოდაა ჩართული პროგრამის განხორციელებაში;
- პროგრამის სტუდენტები, უსდ-ის მიერ უზრუნველყოფილები არიან სათანადო რაოდენობისა და შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

საბუღალტრო აღრიცხვა და აუდიტის სამაგისტრო პროგრამის განხორციელებას ემსახურება 15 აკადემიური პერსონალი, მათ შორის არის: 3 აფილირებული პროფესორი, 4 აფილირებული ასოცირებული პროფესორი, 1 აფილირებული ასისტენტ პროფესორი, 1 აფილირებული ასისტენტი, 2 ასოცირებული პროფესორი და 4 მოწვეული ლექტორი. საანგარიშო პერიოდში გაიზარდა პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური პერსონალის საერთო რაოდენობა ერთი მოწვეული ლექტორით, თუმცა საერთო თანაფარდობა აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს შორის არის 11/4-ზე რაც პროგრამის მდგრადობას უზრუნველყოფს. ამასთან პროგრამის განმახორციელებელი 15 აკადემიური პერსონალიდან 13 ემსახურება დარგობრივი მოდულის განხორციელებას.

აღსანიშნავია, რომ პროგრამის განმახორციელებელი პერსონალი ფლობს შესაბამის კვალიფიკაციას, გააჩნიათ აკადემიური ხარისხი, აქვთ სათანადო თეორიული და პრაქტიკული გამოცდილება. ისინი დიდი ხანია ჩართული არიან სასწავლო-კვლევით პროცესებში, მონაწილეობას იღებენ ადგილობრივ და საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკულ კონფერენციებში, მათი ნაშრომები ქვეყნდება ადგილობრივ და საერთაშორისო გამოცემებში, რაც მიუთითებს მათ კვალიფიკაციაზე. პროგრამას ხელმძღვანელობს გამოცდილი აკადემიური აფილირებული პროფესორი, რომელიც არის ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორი და 2010 წლიდან აქტიურად არის ჩართული სამეცნიერო აქტივობებში, მონაწილეობა აქვს მიღებული კონფერენციებში და გამოქვეყნებული აქვს პუბლიკაციები სხვადასხვა ჟურნალებში, ფლობს უცხო ენებს. იგი

<p>უძღვება სხვადასხვა სალექციო კურსებს და ამავდროულად არის პროგრამის კომიტეტის თავმჯდომარე.</p> <p>ამასთან, პროგრამაში ბევრ სასწავლო კურსში ფიგურირებს ერთი და იგივე აკადემიური პერსონალი, მაგალითად პროგრამის ხელმძღვანელი, წარმოდგენილი ინფორმაციით მითითებულია 8 სასწავლო კურსის სილაბუსში, თუმცა ბუნდოვანია ის არის სილაბუსის ავტორი და განმახორციელებელი თუ მხოლოდ ავტორი ან განმახორციელებელი. გამომდინარე აქედან უმჯობესი იქნება სასწავლო კურსების სილაბუსებში გაიმიჯნოს სილაბუსის ავტორის და წამკითხველის პოზიციები.</p>
<p>მტკიცებულებები/ინდიკატორები</p> <ul style="list-style-type: none"> ○ „საბუღალტრო აღრიცხვა და აუდიტის“ სამაგისტრო პროგრამა; ○ პროგრამის სილაბუსები; ○ პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის პირადი საქმეები;
<p>რეკომენდაციები:</p>
<p>რჩევები პროგრამის განვითარებისთვის</p> <ul style="list-style-type: none"> ▪ სასურველია სასწავლო კურსების სილაბუსებში გაიმიჯნოს სილაბუსის ავტორის და წამკითხველის პოზიციები ანუ დაკონკრეტდეს ვინ არის სილაბუსის ავტორი და ვინ წამკითხველი.
<p>საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):</p>
<p>მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)</p>
<p>შეფასება</p> <p><input checked="" type="checkbox"/> შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან</p>

<p>4.2 აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება</p> <ul style="list-style-type: none"> ➤ დაწესებულება რეგულარულად აწარმოებს პროგრამაში ჩართული აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის შეფასებასა და შედეგების ანალიზს; ➤ უსდ ზრუნავს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე, ასევე ხელს უწყობს მათ მიერ სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის
--

განხორციელებას.
<p>სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი</p> <p>არ შეფასებულა</p>
<p>მტკიცებულებები/ინდიკატორები</p> <ul style="list-style-type: none"> ○ კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით
<p>რეკომენდაციები:</p> <p>წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები</p>
<p>რჩევები პროგრამის განვითარებისთვის</p> <p>არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის</p>
<p>საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):</p> <ul style="list-style-type: none"> ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
<p>მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)</p> <ul style="list-style-type: none"> ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
<p>შეფასება</p> <p>ი გოთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა</p> <ul style="list-style-type: none"> <input type="checkbox"/> შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.3 მატერიალური რესურსი

პროგრამა უზრუნველყოფილია იმ აუცილებელი ინფრასტრუქტურითა და ტექნიკური აღჭურვილობით, რაც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად.

<p>სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი</p> <p>არ შეფასებულა</p>
<p>მტკიცებულებები/ინდიკატორები</p> <ul style="list-style-type: none"> ◦ კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით
<p>რეკომენდაციები:</p> <p>წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები</p>
<p>რჩევები პროგრამის განვითარებისთვის</p> <p>არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის</p>
<p>საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):</p> <ul style="list-style-type: none"> ◦ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
<p>მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)</p> <ul style="list-style-type: none"> ◦ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
<p>შეფასება</p> <p>◦ გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა</p> <ul style="list-style-type: none"> <input type="checkbox"/> შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

<p>4.4 პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა</p>
<p>პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების გამოყოფა ეკონომიკურად მიღწევადია და შეესაბამება პროგრამის საჭიროებებს.</p>

<p>სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი</p> <p>არ შეფასებულა</p>
<p>მტკიცებულებები/ინდიკატორები</p> <ul style="list-style-type: none"> ◦ კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით
<p>რეკომენდაციები:</p> <p>წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები</p>
<p>რჩევები პროგრამის განვითარებისთვის</p> <p>არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის</p>
<p>საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):</p> <ul style="list-style-type: none"> ◦ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
<p>მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)</p> <ul style="list-style-type: none"> ◦ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
<p>შეფასება</p> <p>ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა</p> <ul style="list-style-type: none"> <input type="checkbox"/> შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების				

რესურსებით უზრუნველყოფა	✓			
-------------------------	---	--	--	--

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები

სწავლების ხარისხის განვითარების მიზნით პროგრამა იყენებს შიდა და გარე ხარისხის სამსახურებს, პერიოდულ მონიტორინგსა და შეფასებას უწევს პროგრამას. აგროვებს და ანალიზებს რელევანტურ ინფორმაციას შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად და განსავითარებლად.

5.1 შიდა ხარისხის შეფასება
პროგრამაში ჩართული პერსონალი თანამშრომლობს შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან/პერსონალთან პროგრამის ხარისხის შეფასების პროცესის დაგეგმვის, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებისა და შეფასების განხორციელების პროცესში და იყენებს ხარისხის შეფასების შედეგებს პროგრამის გასაუმჯობესებლად.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი არ შეფასებულა
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით
რეკომენდაციები: წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5.2 გარე ხარისხის შეფასება

პროგრამა რეგულარულად იყენებს გარე ხარისხის შეფასების შედეგებს.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

არ შეფასებულა

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- o კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- o პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- o მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

- მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება

პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება ხორციელდება აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით ინფორმაციის სისტემური შეგროვების, დამუშავებისა და ანალიზის მეშვეობით. შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

არ შეფასებულა

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

○ გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

- შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები				

თანდართული დოკუმენტაცია (არსებობის შემთხვევაში)

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება:

შპს ქუთაისის უნივერსიტეტი

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება, საფეხური: საბუღალტრო აღრიცხვა და აუდიტი, მაგისტრატურა

დასკვნის გვერდების რაოდენობა: 43

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	✓			
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა	✓			
3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	არ შეფასდა			
4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა, შეფასდა მხოლოდ 4.1 სტანდარტი	✓			
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	არ შეფასდა			

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის

ვასილ კვიციანი



აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრ(ებ)ის

მერაბ ხოხობია

